საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება

თბილისი, 2025 წლის 25 მაისი №141/10-XIმ3

მსოფლიოს 4 ყველაზე მსხვილი აუდიტორული ფირმიდან საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშგების გარე აუდიტის განსახორციელებლად დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის (გარე აუდიტორის) შერჩევის მიზნით სათანადო საკითხის განსახილველად გადაცემის შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და 160-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მომართვის (№2-6496/26, 25.05.2026) საფუძველზე

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1. მსოფლიოს 4 ყველაზე მსხვილი აუდიტორული ფირმიდან („Deloitte“, „EY“, „KPMG“, „Price Waterhouse Coopers“) საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშგების გარე აუდიტის განსახორციელებლად დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის (გარე აუდიტორის) შერჩევის მიზნით, მისი შერჩევის ფორმის (ტენდერი/კონკურსი), სატენდერო/საკონკურსო კომისიის შემადგენლობისა და ტენდერის/კონკურსის ჩატარების ვადების განსაზღვრის უზრუნველსაყოფად საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის შესაბამისი წარდგინებით გათვალისწინებული საკითხი განსახილველად გადაეცეს იმავე კომიტეტს.

2. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა 2 კვირის ვადაში, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით განიხილოს გათვალისწინებული საკითხი და მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტის შესაბამისი დადგენილების პროექტთან ერთად წარუდგინოს პარლამენტის ბიუროს.

3. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

შალვა პაპუაშვილი